კვირა, 8 ოქტომბერი 1917 წ. რედაქციის ადგილსა: თფილისი, ოლლას ქუჩა, № 6. ფასი 30 კაპ.

ეკალი

№ 41

ამ თ ე ხ ა ლ ი 1917

„ზავი“

ტერეშჩენკო. წადი ქალბატონო, მაგრამ არა მგონია ჩვენმა მოკავშირეებმა გაგატარონ. წადი, ვნახოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასნო თანამშრომელნო და მკითხველნო.

22 ოქტომბერს სრულდება მეორე წლისთავი ჩვენი უსაყვარლესი მგოსნის

სოლომონ ზურგიელიძის

გარდაცვალებიდან.

მოგვაწოდეთ მისი ხელნაწერები, ნაგვესები, აფორიზმები და ლექსთა ნაწუვეტები.

კიდევ მკითხველებისადმი.

ყველაზე ცუდ მდგომარეობაში დღეს, განსაკუთრებით ჩვენში, გამომცემლობის საქმეა. და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ბევრი გამომცემლობა იძულებულ იქნება თავისი არსებობა შეაჩეროს. ასეთი კითხვა ჩვენ ჟურნალის წინ უკვე დადგა. გამომცემლობას დღეს დაახლოებით ოთხასი მანეთი დეფიციტი აქვს თვიურათ. ცხადია ასეთ პირობებში ჟურნალის გამოცემა უნდა შეჩერდეს. მაგრამ, გამომცემლობის აზრით შეჩერებას ჯობია კიდევ ფასის ზომატება, თუმცაღა ფასის ზომატება ყოველთვის ვერ აუმჯობესებს შემოსავლის რაოდენობას, ვინაიდან როდესაც მეტი ღირს ჟურნალი, ნაკლები იყიდება. ყოველ შემთხვევაში საჭიროთ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველებს რა განსხვავებაა ხარჯებში მას შემდეგ, რა რომ ჟურნალს ფასი მოემატა. პირველი: ქაღალდი, რომელიც ღირდა 22 მანეთი, როდესაც 25 კ. გაეხადეთ მათრახი, ახლა ღირს ოზმა ორმოცი მანეთი. აწყობა და დაბეჭდვა ღირდა 130 მ. ახლა ღირს 180 მან. ცინკოგრაფია ღებულობდა დიუმზე 50 კ. ეხლა ღებულობს 80 კაპეიკი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხარჯების დასახურავათ საჭიროა ჟურნალის ფასი გადიდდეს ათი კაპ. მინიმუმი. გამომცემლობამაც გადასწყვიტა განაგრძნოს ჟურნალის გამოცემა და ფასი გაადიდოს 35 კაპეიკამდი. მაშასადამე დღეიდგან ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“ ეღირება 35 კაპ.

კანტორა „განათლება“

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ბ ა

(სადღეისო იგავი)

პატარა.
გამხდარი.
ძვალტყავათ ქცეული
ქუჩაში ფისუა ვიპოვნე ეული.
სპბრალოს შიმშილით სინსილა გასცლოდა...
(ფეხებსაც გაფშეკდა, ცოტა თუ დასცლოდა.)
ვიშვილე მე იგი
და დავაოჯახე...
ვუთხარი: გეთაყვა, თაგვები მონახე;
სავსეა ბეღელი
და კიდობანები,
სარდაფი, ზანდუკი
თუ აივანები...
მე ჩემი ლექცია აღარც კი დამცალდა,
რომ საქმე თავისი მან უკვე გასწალდა.
ყურები დასკქვიტა,
ისკუპა,
გადახტა...
და თქვენს მტერს ისეთი, თაგვს ყოფა გადახდა.
— უი ქა!
შეხედეთ რა მონადირეა!?
კატა ჩვენ ოჯახში
ამგვარი გვპირია!..
(შესძახა აღათიმ და იგი, პატარა
მთელი დღე ოთახში შვილივით ატარა!)
საუზმეთ მიართვა
რძე წმინდადული,
ნიშნლის ბარკალი, ყველი და ნადული.
სადილათ კოტლეტი
და წვენი საამო
ამგვარი ვახშმით გათავდა საღამო.
ასე დღეს,
ასე ხვალ.
შაბათს, თუ კვირასა...
ხტუნაობს კატუნა, გადადის ყირასა.
განცხრომის დღე დღეს სდევს
და ღამე ღამესა
ყველი,
რძე,
ქათმები მას შეაჭამესა.
გასუქდა კატუნა და გაგვიბატონდა
წვენს ისე არ სჭამდა ხორცს თუ არ ატანდა.
ხვრინავდა ბალიშზე
ლალ გადაწოლილი
ნასმევი,
ნაჭმევი
სინაზით მოვლილი.
თაგვებზე არც ფიქრობს... ან რაღათ სჭირია?
თუ ღვიძავს
უთოოდ რძეში აქვს ცხვირია.

მორიელი.

თ ა თ ბ ი რ ი.

(ასტრონომიული ფელეტონი).

თავმჯდომარე პლანეტთა პროფესიონალური კავშირისა, ამხანაგი მზე, აგერ მეოთხე წელიწადია თვალყურს ადევნებს პატარა ციაგის, დედა-მიწის მდგომარეობას და გონს ვერ მოსულა.

— ნეტავ რა ხდება ამ პაწაწინა ბურთზე ასეთი ახირებული და თავბრუ დამხვევი, რომ სამი წელიწადი ბუღი და ,ორიანტელი გარს ახვევია? გასძახა მზემ მერკურის, რადგან ის უფრო ახლო უდგას და მუდამ თვალებში შეჰყურებს მას.

— არ ვიცი ძვირფასო მეგობარო. მეც კარგა ხანია ვატყობ, რომ ახირებული ელფერი დაედო. ვენერა ,ახლო უელის და იმასა ვკითხოთ, იქნებ იმან გვითხრას სიმართლე.

— ვკითხოთ, ვკითხოთ დაეთანხმა მზე და ჩქარა ვენერასაგან პასუხიც მოისმინა.

— საყვარელო ამხანაგებო!—დაიწყო მან,— დედამიწა მძიმე ავთმყოფია. ჩემი აზრით საშიშარი სიცხე უნდა ჰქონდეს. თვალები ისე საშინლათ უპრიალებს, რომ გეგონება ნაპერწკლებსა ჭყრისო. შარშან ზაფხულში ცოტა უფრო ახლოს მივუდექი და კინაღამ დავიხრჩვი, ისეთი ტრუსის სუნი ამოდის მისგან.

— მარსისთვის ხომ არაფერი გიკითხავს?

— იმ შემოდგომაზე გადავეყარე სალაპარაკოთ. ფეხმოტეხილი გეგონება ადამიანს ისე დაჩოჩავს, ვერც კი მოვასწარი კარგათ გამოკითხვა. მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორიოდ სიტყვა გავიგონე: ჩემი მეზობლის ცოლმა ცუდათ უნდა იყოს, ვგონებ რაღაც მატლები გასჩენია და სპამენო.

— იქნებ მართლაც გაუჩდა რაიმე მატლი! ჭირისუფლის კილოთი ჩაილაპარაკა დიდებულმა მზემ და განაგრძო,—საჭიროა იუპიტერის აზრი შევიტყოთ.

—იუპიტერი უფროსია, ვინ იცის, იქნებ გვირჩიოს რამე,—შენიშნა მერკურიმ.

—აი ეხლავ შეეკითხები.— წარმოსთქვა მზემ და მხურვალე სხივთა კონა გასტყორცნა ჭაღარა იუპიტერისაკენ. ეუპიტერის განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა.

—ვისზე მეკითხები დიდებულო მნათობო,— მყისვე უპასუხა მან პირდაპირი მართულით.

— როგორ თუ ვისზე მეგობარო, განა არ გინახავს ჩვენი მოკავშირე პატარა ციაგი, დედა-მიწას რომ ვეძახით?!

—გეფიცები შენს ნათელ სხივებს, მე ის არ მენახოს.

—როგორ, თვალიც არ მოგიკრავს?

—სრულიად არ ვიცნობ, წინა დროებაში ვხედავდი რაღაც სინათლეს, მაგრამ მეგონა ის მარსის ფარანი იყო. აღარც კი მახსოვს როდის გაქრა.

—აბა ერთი სატურნს შეეკითხე, იქნებ იმან მოჰკრა თვალი.

იუპიტერმა მყისვე გამოიძახა სატურნი და შეეკითხა დედა-მიწის შესახებ. სატურნი სიცილით მოკვდა ამ სახელის გაგონებაზე, ვინაიდან მას არა თუ ნახვით ენახა, არც კი გაეგონა „დედა-მიწის“ სახელი.

—დედა-მიწა,! ნუ თუ ასეთი ვინმე სცხოვრობს ჩვენს ახლო ძვირფასო მეზობელო? სიცილით შეეკითხა სატურნი იუპიტერს და სათვალეები გაიკეთა, რომ უკეთ ჩაჰკვირვებოდა მსოფლიოს დაუსრულებელ სივრცეს.

—ნეტავ სად იმალება ის კაცუნა, რატომ ერთხელ არსად წამომეჩვენა... ბუზღუნებდა სატურნი და დაჟინებით აკვერდებოდა იმ ადგილს, რომელზედაც მეზობელი უთითებდა.

— რომ დამეკლა ვერაფერსა ვხედავ. იქნებ ურანს უნახავს სადმე. მოიცა ერთი შეეკითხო. დასძინა სატურნმა და პირი მზისკენ უფსკრულისაკენ იბრუნა.

დედა-მიწის ხსენებაზე ურანს ისტერიული სიცილი აუტყდა, იმზომ ახალი და მოულოდნელი იყო მისთვის ამ სახელის გაგონება. სატურნს შინიც შეეპარა არ გაგიჟდესო, და სთხოვა ნეპტუნს შეჰკითხებოდა, თუ მისთვის უცხო იყო ის სახელი. ის რაც ნეპტუნზე მოხდა, ყოველივე მოულოდნელობას აღემატა. მას არა თუ დედამიწა, არც მარსი და სხვა წვრილი მოკავშირები ენახა.

—თქვენ იქნებ მოგეჩვენათ მეგობრებო. გადმოსძახა ნეპტუნმა, რადგან მას ვერ წარმოედგინა მის მეზობლად ასეთი უჩინარი ბურთის არსებობა.

მთელი კავშირი საგონებელში ჩავარდა. მზე, თავმჯდომარე ამ კავშირისა საშინლათ დაღონა პლანეტათა შორის ნაციონალური გრძნობის სისუსტემ და საყვედურის კილოთი შენიშნა:

—სირცხვილია, შვილებო, თქვენ ძმა, თქვენი სისხლი და ხორცი, თქვენი მოკავშირე და მოკეთე გასაჭირში იყოს და თქვენ მის ამბავს არ კითხულებდეთ.

— განა რა ჩვენი ბრალია, ვერა ვხედავთ და ვისი ამბავი ვიკითხოთ. აი როცა წამოიზრდება კიდევაც შევნიშნავთ და თვალ ყურსაც დავიჭერთ მასზე— დინჯათ შენიშნეს დიდმა პლანეტებმა.

—ვვრიკა! მოულოდნელათ წარმოსთქვა იუპიტერმა—მე ვიცი ვინ გვეტყვის მის ამბავს.

—ვინ? ვინ? ერთხმათ შესძახეს პლანეტებმა, და ცნობის მოყვარეობით აღგზნებული თვალები მიაპყრეს ბუმბერაზ ციაგს.

— კუდიანი ვარსკვლავი ჰალილეისა. დინჯათ წარმოსთქვა იუპიტერმა.—ის ამ შვიდიოდ წლის წინათ იყო იქა და ალბათ ყველაფერი ეცოდინება.

ამ სიტყვების გაგონებაზე მზეს ისე გაუბრწყინდა თვალები, რომ ნეპტუნსაც კი ოფლი დაასხა.

მზემ დიდხანს ეძახა ჰალლეი, თავისი ნათელი თვალებით, მაგრამ ის მის რაიონში არ აღმონჩდა. ნეპტუნმა მოახსენა, რომ ამ დღეებში ჩემს ახლოს გეიარა და მიიშალაო.

მზოლოდ დიდი ხნის ძებნის შემდეგ შეასწრო მას თვალი დიდებულმა მნათობმა და გადასცა სურვილი თავისი და თან მთელი პროფესიონალური კავშირისა.

კუდიანი ვარსკვლავი ჯერ თუმცა უარზე იდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა, მაგრამ ბოლოს მაინც დაჰყვა საერთო სურვილს მეზობლებისას და აღუთქვა მზეს შემდეგი კვირისათვის ვრცელი მოხსენების წარმოდგენა ამ სათაურით:

„ჩვენი ძმა დედა-მიწა და მისი ვითარება.“

მეც ვეცდები შემდეგ ნომერში ვრცლად გავაცნო მკითხველთ მოხსენების დედა აზრი.

მანდამი მოთმინება იქონიეთ.

ეშმაკი.

შარადა

იარაღია ერთგვარი,
დაბლით ზე ასაკოცები...
(იაკობს სიზმრად ზეცამდეც
ეჩვენა გასაოცები.
ზედ ანგელოზნი დახტოდენ
უფალიც ჩამოსდიოდა.
ჭიდაობისა შემდეგომად
იაკობს გვერდიც სტკიოდა.)
გავზერეთ ეს იარაღი
ჩვენ ორ თანასწორ ნაწილათ...
შარადისათვის პირველი
სჯობნის მეორეს ას წილათ.

—

აწ ვინახულოთ ოდიში,
რაჭა და იმერეთია,
მათში გაბმული მდინარე
ის მხოლოდ ერთად ერთია.
რაჭას ჩაუდის ჩრიალით,
იმერეთს კრიმანჭულითა,
ოდიშს უმღერის ძილის პირს
თვალ მიბნედილი რულითა.
დღეს უწყნირათ მდინარი
ხვალ რისხვით დაგეკვეთება
(შარშან წინ იყო ქუთაისს
მან რო უჩვენა ფეთება!)
არგონავტთაგან ცნობილ არს
ძვირფასის ოქროს ქვეშითა,
სხვებრ თუ ვერ სცანთ, ვინ ოლომ
ამოხსნით ამა ნიშნისა.

—

რო შეერთდება ეს ორი:
სიტყვა და სიტყვის ნაკერი,
ყველა მორწმუნე ქართველი
ჰხამს პირჯვარი გადანწერი.

ოლო.

„პირდაპირი“ ვაგონი.

(ბუდვნი ქუთაისის გუბერნიის კომისარს)

ბევრს არ დავიტრაბახებ და ევროპის რუსეთში-კი მიმგზავრია.

მიმგზავრია ყველა კლასის ვაგონით: პირველით, უფრო ნაკლებათ, მეორეთი და მესამეთი-უფრო ხშირათ.

ვჯდომილვარ მეოთხე კლასის ვაგონშიდაც, რომელსაც რუსის მდაბიო ხალხი „მაკსიმ გორკის“ უძახის.

ბევრჯერ მიმგზავრია საქონლის ვაგონითაც, რომელზსაც ფრიად მნიშვნელოვანი წარწერა აქვს: **для 36 нижныхъ чиновъ или воасьми лашадей.“**

ნეტარ ხსენებულ „პიატი გოდაში“ პარავოზითაც ბევრი მიქროლია. ვაგონეტკაზე მოგზაურობის დროს გელათსა და ქუთაისს შორის ერთხელ კისერი მოვიტეხე ხამე.

ფეხითაც დიდი მანძილი გამიკეთებია რკინის გზაზე.

ერთი სიტყვით, რკინის გზით მიმოსვლის ყოველი საშვალება გამომიცდია.

ლურჯათ, ყვითლათ, მწვანეთ, ნაცრის ფრათ და წითლათ შეღებული ვაგონები – ყველა მინახავს, ყველაში ვჯდომილვარ ან ვწოლილვარ (თუ როდისმე მრგებია ასეთი ბედნიერება!).

მაგრამ ისეთი ვაგონი, რომელიც ქუთაისსა და თფილისს შორის მიდი-მოდის და რომელსაც „პირ დაპირს“ უძახიან, მე ჩემს სიცოცხლეში არსად მინახავს.

ვისაც უბედურება ქონია ამ ვაგონით მოგზაურობისა, ის დაუმტკიცებლათ დამეთანხმება დასახელებული ვაგონის უცნაურობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც ისე ბედნიერიაა, რომ ქუთაისის „პირდაპირი“ ვაგონით ჯერ არ უმგზავრია, ისიც მალე გაიზიარებს ჩემს განცვიფრებას, როდესაც ამ ეპისტოლეს ბოლომდის ჩაკითხავს.

დავიწყოთ გარეგნული თვისებების აღნუსხვით.

ქუთაისის „პირდაპირი“ ვაგონი მატარებელს სულ ბოლოში აქვს მიბმული.

ამ გარემოებას გონიერი პირები იმითი ხსნიან, რომ ბოლო ვაგონის მოხსნა და მიბმა ადვილია საჭიროების დროსო.

ეს მოსაზრება უსათუოდ მართალია, მაგრამ არა სავსებით.

ჩემი აზრით რკინის გზის ადმინისტრაცია ამით თვალსაჩინოთ ეუბნება გულუბრყვილო მგზავრებს: ხომ თქვენი თვალებითაა ხედავთ **უკანასკნელი** ვაგონია, ნუ გარბიხართ იქითკენ. ნუ თუ ვერ ატყობთ, რომ განგებ გვაქვს სულ ბოლოში მოქცეულია?

გულ უბრიყვლო მგზავრი მაინც არ უჯერის ამ თვალსაჩინო გაფთხილებას და თავისი ბარგი ბარხანით მირბის „პირდაპირ“ ვაგონში.

„პირდაპირი“ ვაგონი ორ ნაწილად არის გაყოფილი: წინა ნახევარი უკავია მესამე კლასს, **უკანასკნელი** ნახევარი-კი მეორეს.

აქაც ვაგონის ასეთ დანაწილებაში დიდი ღრმა აზრია დამარხული, ვისაც უადგილობის გამო მიმდგარი გაეპირვებით ან ცნობის მოყვარეობით (თუ ცნობის მოყვარეობა-კი არა გონებაც არ დაკარგა იქ მოხვედრილმა მგზავრმა!) „პირდაპირი“ ვაგონის პირველი ნახევარისათვის თვალი მოუკრავს, აწკარად დარწმუნდებოდა, რომ ამ ტყუპ ვაგონში მესამე კლასი სჯობია მეორე კლასის ნახევარს*)

დავკმაყოფილდეთ ამ საერთო შენიშვნით და დავუბრუნდეთ ისევ უკანასკნელ, ანუ მეორე კლასის ნახევარს.

მიუხედავად იმისა, რომ სასტიკად აკრძალულია, როგორც ძველი ისე ახალი კანონით, ვაგონის გაღება პირველი ზარის მიცემამდის, „პირდაპირი“ ვაგონი (სხვა დანარჩენ ვაგონებთან) მგონი არასოდეს არ იკეტება. სანამ ბაკანზე მოდგებოდეს უკვე გაეჭედილია ხალაკებით და მგზავრებით.

საბრალო მომთმენი და დარბაისელი მგზავრები-კი ვაგზლის დახშულ ბუფეტში არიან ამ დროს ჩაკეტილი და მოუთმენლათ მოელიან პირველი ზარის ჩამოკვრას

აი ჩამოკვრეს ზარიც. ისეთი ჯოჯოხეთი დატრიალდება გასავალ კარებთან, რომ გეგონებათ მეორეთ მოსვლა მოსდგეს ხალხს უკანო. თუ ცირკის მოჭიდავეებსავით არა ხარ გამოწყობილი, მთელი აღარაფერი შეგრჩება ტანზე: ყველაფერს შემოგახევენ, ყველაფერს შემოგაგლეჯავენ, გვერდებსა და ხელ-ფეხებს დაგამტვრევენ, დაგლეწავენ.

მერე აბრი ქე მაინც ქონდეს რამე ამ აუწერელ უბედურებას!

ადგილები ვაგონში ყველა უკვე დაქირეულია*) „წინადადებული“ მგზავრებისაგან და ეს საბრალო ხალხი სულ ტყუილა უბრალოთ ალეწავს ერთმანეთს გვერდებს. სულ უმიზეზოთ აგინებენ ერთიმეორეს.

ვსთქვათ შეგეწია თქვენი მფარველი ანგელოზი და მიაღწიეთ ცოცხალმკვდარმა „პირდაპირ“ ვაგონამდი. ვაგონი უკვე იტაკიდან ქერამდე გაეჭედილია. უკან გამობრუნება იმას ნიშნავს, რომ სულ დარჩები. უნდა მოიკრიბო უკანასკნელი ძალ-ღონე, მოიმარჯვო მკლავები და დაიწყო შიგნითკენ ცოცვა. ტრაღიკული მომენტია, მაგრამ ქუთაისური ახალგაზდობა აქაც ტრაღედიას კომედიათ ქნის და უმწვერვალეს გაპირეების დროს, როდესაც სული კისერში გაქვს მომდგარი უზომო სიბრაზისაგან, — ასეთ დროს ნელი ხმით წაუღიღინებდენ: „**ხელიც მისკენ მიცოცავს, მიცოცავს, მიცოცავს.**“

პირველათ ეს უბრალო მხიარულობის გამომხატველ ღიღინათ მომეჩვენა, რამაც ცოტა არიყოს დამაწყნარა, თუმცა მაინც მიკვირდა: ამ საშინელ ჯაგლეთაში რა აღიღინებთ მეთქი? ბოლოს შევიტყე, რომ ამღიღინს სულ სხვა აზრი ქონია. **ეს ჯიბგირების ხელების ცოცალიდან მგზავრების გასაფრთხილებელი ჰიმნი ყოფილა.**

*) ამ კარშოებას დრმა ბოდიტეკური სარჩელი უნდა ქონდეს. აქ რკინის გზის ადმინისტრაციის ცხოვრებაში გაკრებული უნდა ქონდეს „ბოლშევიკური“ დოზუნგი: „ძარს ბურჟუაზია, კუმარჯოს ჯარის კაცებსა და მუშებს.“

*) ნუ თუ ეს კარშოება არ მოეხსენებათ სადგურის კომისარეს? წარმოგიდგინო ამ ბიროტებასთან ბრძოლა შეუძლებელია? არა მგონია.

ძალიან მომეწონა. თუმცა არ შემიძლია არ შეეგნიშნო, რომ გაფრთხილებას ნაციონალისტური ცალმხრივობა ემჩნევა. ქართველს-კი გააფრთხილებ, მაგრამ ვინც ქართული არ იცის, იმას რას უშვები? ალბათ ყველაზე მეტია. უცხო ერების მგზავრები ხარალობენ ჯიბგირებისაგან ამ გზაზე მიმოსვლის დროს.

„პირდაპირი“ ვაგონის შინაგანი მოწყობილება ასეთია: კედლები საშინლათ დაბალი. დასაწოლი და დასაჯდომი ადგილები ძალან ვიწრო და მოკლე. თვითონ გაბლდით იმისი მოწყობე, თუ როგორ დაა-ჭრეს ღამე პრაპორშიკებმა ფეხები ერთ მგზავრს, სახელდობ ამხ. გ-ტა ფ-ვს. ეს ამხანაგი ცოტა მოგძო ტანისა არის. რადაც მანქანებით საწოლი ადგილი ეშოვა. მაგრამ ზედ ვერ მოთავსებულიყო და ფეხები, შუხლებს ქვეეთ, ძირს გადმოელაგებია. და რადგან მგზავრების საერთო აზრით მას ბილეთი ერთი კაცისა ქონდა, ხოლო ადგილი ორისა ეჭირა: ერთის დაწოლილის და მეორესი ფეხზე მდგომის, გადაეწყვიტათ ფეხები მოეცილებინათ ტანისათვის. როგორც უბილეთო ვაგონიდან გაეძევებინათ. შენი მტერია განძრახვას სისრულეშიდაც პაიყვანდენ, რომ იქ არ დავსწრებოდი იოლათ.

მე წინადადება შევიტანე, ვინაიდან ყველა მგზავრს აქვს ბარგის თან წაღების უფლება, მაგ გძელი მგზავრის ფეხები მის ბარგათ ვიგულისხმოთ და საბარგე თაროზე შევაწყოთ მეთქი. ყველამ მოიწონა ჩემი წინადადება. პრაპორშიკებმა ლეკურები ჩაგვეს. მე ავდექი და ბაწრით მაგრათ მივაკარი გძელი მგზავრის კიდეე უფრო გრძელიფ ხები საბარგო თაროზე. ასე გადავარჩინე ერთი მგზავრი ფეხების დაკრეს. მაგრამ ყოველთვის ხომ მე არ დავესწრები?

„პირდაპირ“ ვაგონში დასაჯდომი ადგილები კიდეე უარესია დასაწოლზე. საწოლი ფიცარი იმდენათ დაბლა არის დამაგრებული, რომ დასაჯდომ ადგილზე გამართულათ დაჯდომა მხოლოდ პატარა ბავშვებს და ლილიპუტებს შეუძლიათ. დანარჩენები ხუთჯერ უნდა მოიგრიხონ წელსა და კისერში, რომ იქ მოთავსდენ. პატიოსნებას გეფიცები, გარეშე ადამიანს ეგონება ეს ვაგონი დამნაშავეთა გამსწორებელი ვაგონია სპეციალური მიზანით გაკეთებული. აბა სადგაგონილა, რომ ვაგონშიდ ადამიანი, თუნდა საშუალო სიმაღლის ადამიანი, ადამიანურათ ვერ დაჯდეს?

წარმოვიდგინოთ, რომ აქაც ისაშველეთ, რამე და დაგრეხა-დაკეცვით მოახერხეთ დაჯდომა. არ ეგეგონოსთ ბედის მაღლიერი დარჩეთ!

სამიოდ წუთის განმავლობაში მთლათ მშიერი ბაღლინჯოებით დაიფარება თქვენი ტანი. ბაღლინჯოების მეტი რა მინახავს, მაგრამ ამისთანა უსირცხვილო, ასეთი მწარე მოკბინარი და ამდენი, როგორც „პირდაპირ ვაგონშია, მე არსად შეხვედრია!

რომ არც ეს არის გადაკარბებული ჩემის მხრით რკინის გზის მმართველობის დასამცირებლათ ამასაც მე მგონია ბევრი მგზავრი დაადასტურებს.

ბაღლინჯოებიდან განამწარებს, რომ ზეზე წამოდგომა გინდოდეს და ამ საშინელი ადგილიდან გაქცევ, ესეც არ ძალ გიძს. ადამიანთა სხეულის ყოველი ნაწილები ყოველი კუთხით ისეა ჩაყრილი, რომ, თუ ადამიანთა სხეულებზე არ გადიარე, ვერ-სად ვერ გადგამ ფეხს. ასეთი თავხედი მგზავრი-კი ბევრი არ მოიპოვება. ამიტომ უნდა მიუშვირო თავპირი და მთელი სხეული ამ საშინელ მებნარებს და უყურო, როგორ გწუწიან წვეთწვეთათ სისხლს ტანიდან!

არას ვიტყვი სხვა საერთო სიბინძურისა და ვაგონის ანტასანიტარული მდგომარეობის შესახებ. ამ სიბ ინძურის ასაწერათ ჩემი კალამი სუსტია და მკითხველსაც მოვერიდები.

„პირდაპირ“ ვაგონის გადაბმა, გაჩერება და ადგილიდან დაძვრა საშინელ მიწის ძვრას მოგაგონებთ ყოველთვის. ამ დროს უხვათ ცვივა მაღლა თაროებიდან ბარგი და მძინარე მგზავრები. ასეთ მაგარ შენძრევას ადგილი აქვს ყოველ სადგურზე გაჩერებისა და დაძვრის დროს.

ერთი სიტყვით, რომ ბევრი კიარ გავაგრძელო ისედაც გძელი წერილი, ვიტყვი, რომ ერთი თვით მეტეხის ციხეში ჯდომა მერჩია ძველი რეჟიმის დროს ერთ ღამეს ქუთაისიდან თფილისამდე „პირდაპირ“ ვაგონით მოგზაურობას.

ახლა ვიკითხოთ, რას ნიშნავს ამ ვაგონისათვის წოდება „პირდაპირი“. რასაკვირველია არა იმას, რომ ეს ვაგონი, როგორც რიონზე გადაუჯდომლათ მგზავრის თფილისამდე წამყვანი, რაიმე სანუგეშოს წარმოადგენდეს მათთვის. ეს ჩვენ საკმარისად და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასსაჟი პოლიტიკურთა

27 თებერვლამდე საპოლიციო ნაწილში.

27 ივნისიდან აბასთუმანის სანატორიუმში.

ეშმაკმა ცალკე კომისია დანიშნა იმის გამოსარკვევად, თუ რომელი დარგის მასსაჟი უფრო უხდებოდა პოლიტიკურებს.

ვინახეთ სიტყვა. „პირდაპირი“ აქ უნდა ვიხმაროთ იმ მოსაზრებით, რომ ამ ვაგონით მგზაურობა **პირდაპირ აუწერელი წამებაა მგზავრებისათვის.** ეს გადაუჯდომელი კი არა **კირდაპირ** **დაუჯდომელი** **და** **დაუსვენებელი** **ტანჯვის** **ვაგონია.**

ამ საერთო სიღარიბისა და უბედურების დროს ჩემი ნატვრა შეიძლება ბევრს უგვანოთ მოეჩვენოს, მაგრამ მე მაინც არ შემიძლიან არ ვუსურვო ქუთაისის სადგურის კომისარს ამ „პირდაპირი“ ვაგონით ხშირათ მგზავრობა, მხოლოდ თვითონ „პირდაპირ“ ვაგონს ნაფოტებათ დამტვრევა და განადგურება.

თუ ეს უკანასკნელი სურვილი სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოვლენათ ჩამეთვლება, მზათა ვარ ჩემდა თავათ ამ ახირებული სურვილის გამოთქმისათვის ასი მანეთი ჯარიმა გადავიხადო, ოღონდ კი მოვესწრო იმ ბედნიერ დღეს, რომ **„პირდაპირი“** **ვაგონის** **დამტვრევის** ამბავი ამომეკითხოს **გაზეთიდან.**

ბელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასახლის ქალიშვილები

მუშაობის დაწყებამდე,
მუშაობის დროს და
მუშაობის შემდეგ.

დეზერტირობა

კერენსკის ჯარს თუ სპირს
ეს დეზერტირობა,
(რომლებმაც წააგეს
ბრძოლა და გმირობა,)
ეშმაკსაც დაეტყო
მხედართა ძვირობა,
(ქაჯთშიც ირღვევა
სამხედრო პირობა.)

„წავიდა თაგუნა“
და განჯის—კარელი,
ბლიკავიმც დაგვმართა
მტრის გასახარელი.
მათ გაჰყვა ისკანდერ,
პიტნა და შხანკოლა...
მეც ბედმა მარგუნა
იმათი გაყოლა.
დავტოვეთ ქაჯეთი
ეშმაკის ამარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ ი ფ ქ ი

(პატარა ამბები ნახუტურის ცხოვრებიდან.)

1. კომისია.

ადგილობრივ საუნო კრებას ერთი ფრიად საშინელი და უკურნებელი სენი შეეყარა. მას ადგილობრივ ენაზე „კომისიას“ უწოდებენ. სენი თავისი სხვენფიგური თვისებებით ცოლის ჩამგავს; ის ტიფებსავით ჩუმად, ნელ-ნელა უმარა კრების ორგანიზმს და შემდეგ ერთი გაბედული შეტევით სრულიად აბურობს მის ეოველივე ნაწილს; ის ადუნებს კრების ენერგიას, აჩერებს მის მოძრაობას, უხუთავს სულს და ორმეველ სასაბრალო ენაზ. ეს სენი სხვა უბედურებისთან ერთად რადგ ყადასწორი ძალის პატრონიც უნდა იყოს. მას ისე მოუჯადოებია მთელი კრება, რომ, მიუხედავად მისგან მეყენებულ მრავალ გვარ ტანჯვისა, კრება არამც თუ ფიქრობს ამ სენის მოშორებაზ, პირიქით ეშისთ ერთი უბრალო ნაბიჯის გადადგმა არ შეუძლია, და ვერც ერთი წამითაც მორდება მას... ჯერ არ მომხდარა ჰქ ისეთი კრება, რომელსაც არ ეარჩიოს 20 კომისია, 40-კომისიის კომისია და 80 კომისასიის კომისიის კომისია. როგორც ხედავთ კრების მდგომარეობა სერიოზულია. საკვირველ სერეშმაკ დახმარება, თორემ მოსადგენელია კრება სრულიად გადაეკარგოს ამ საშინელ სენს.

2. ლოკები და მიცვალებულნი.

რუსეთის რეგიონალიამ პირდაპირ ასწყულება მოასხლა: მან დამსხვრია ნიკოლოზ შორეს ტახტი, მიდეწოდეს საეკუნოებით განაწყვდი მონობის ბორკილები, ადეკეს შარაზმელები, ტიბეში კომოწყდა ბრეგოკატორები, თავზარი დასცა კონტრეგოლიუციონერებს, ნაიხუეს ბადეშეიკები და ნაკაროგორნიდოვის შეთქმულებიც კი... მაგრამ ვინ თითქმის ეერავითარი კავდენა ვერ იქმნა ნახუტურის ლოკებზე. ეს დინგოსანი ჯიბის კონტრეგოლიუციონერები ძველებურად დაბარბაშებენ ნახუტურის სამრეხი და ოავიანთი ბინძური დინგებით მოურიდებლად ხოხრან მიცვალებულთა საფლავებს და მიუხედავად საეკეონოდ განსვენებულთა სასტიკი ბრატკესებისა ეასზიზღრეს მორადიორობს ეწევიან. ლოკთა ესეთი კონტრეგოლიუციონური კომისიები დიდ ადეშოოებებს იწვევენ მეცვალებულთა პატრონებს შორის და თავ კასულ ლოკებს ასდაგმავად კიდევაც დაარსეს განსაკუთრებული

ბუტუნა.

პარტია, რომელსაც „მიგვალებული პარტია ეწოდება“. ამ პარტიის დროშაზე აწერია: ძირს დორები! გაუმარჯოს მიგვალებულთა და სამართლა თავისუფლებას!“ მათი მოთხოვნილება შემდეგია: დაუოსებელი დაწერა ყველა დორთა გოშებითურთ და მათი სწორი ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ჩვენს არგვას და უმეფობას
მოჰყვება ჩვენი დამარცხებაო.
აწ გერმანია შემოიკრება,
თქვენი ერთობაც დაიშლებაო;
ტახტზედა ავა ისევ ნიკოლოზ
ნათქვამი ბრძენის გამართლდებაო.
„წითელი მეფე“, ბბა ვინ არის!..
თუ არა ჩვენი ნიკოლოზია;
ნუ, ნუ ენდობით ახალ—თამბას
გფარავდეთ წმინდა ანგელოზია!..
სოფლის ბიჭ – ბუტებს თქვენ ნუ აჰყვებით,
შენც, ჩემო შვილო, სიკიოიო!
მამა—შვილობამ შენც გაიგონე,
დაიმახსოვრე მაკოიაო!...
და ჩვენი სიკო, მაკოიები
იმას უსიტყვოთ, ერთგულება
შენც კარგად იცი, ძმაო ეშმაკო,
სულ ადვილია მათი ცდუნება...
მეუბნებიან: „ნიკო ხუცესმა“
ფარულად კრება მოაბდინაო
და გაუთლელი სოფლისა მუშა
ენით მოხიბლა, შეაცდინაო.
ლანძღავს და კიცხავს ახალ—თამბას
ამბობს: არ მომწონს მათი წესიო
„ცოციალემა“ რომ გიმარჯვონ
ვერ დავიჯერებ მე ჩემს დღეშიო.
ასე ქადაგობს: „ღმერთი არ უნდათ
და საკუთრების უარყოფენო,
საწყალი მუშის ნადაგვ—ნაოფლარს
დაეპატრონენ და იყოფენო!...
რამდენს რას ამბობს ამა ვინ მოსთვლის,
ხელ—აპყრობილი იწყევლებაო;
ვინც რომ დარაჯობს ჩვენს წმინდა საქმეს
ღმერთს მის გაჭირობას ეევდრებაო.
ღამით დაძვრება და კუდამელობს
ფიქრობს: მოაწყოს ამბოხებაო;
ყველა სცნობს იმას, ვინც უნდა იყოს,
ყველგან გავარდა მისი ქებაო..
გაეგეს ნიკოს კომიტეტებმა
ასეთი ბეჭობა, საუბარიო,
დაეპაწლეურეს ლაზათიანად
ის გაიძვერა, საზიზღარიო.
ნიკო, ხუცესი სოფლათ ბევრია,
ეშმაკო, შენც კი გეცოდინება;
როგორ მოვექცეთ გვიბრძანებენ
გეკნება ამის გამოცდილება.
მაგრამ სხვა მღვდლებში, კარგათ გახსოვდეს,
ნუ შეგეშლება გოროდის მღვდელია,
ის სხვა მღვდლებივით არ არის ფლიდი
არის მუშაკი, მართლის მთქმელია.
მან ბევრი საქმე აკეთა სოფლად
იესო ქრისტეს მიმდევარია;
მეგობარია დეკნილ—ტანჯულის,
აკურთხებს იმას მაცხოვარია...

გრიშა იმერელი.

„თავისუფლების მორევი“

(წერილი გურიიდან.)

„მრავალ ტანჯულ გურიის თავისუფლება ედარსა, რამდენთ გასხარდი იყო ჩემთვის, როგორც გურულისთვის სამშობლოს ნახვა. იმდროს როდესაც გურია თავისუფლების მორევში ეს ქვეყანა თუ შეიდი თვე სტურავს...

დ. კალანდაძე.

(გაზ საქართ. 234.)

გაზეთი „საქართველო“ განაგრძობოს სარწმუნოებრივი კითხვების გარკვევას. ცნობილ დავით კასრაძეს, „საქართველოს“ საეკლესიო „მილიციონერთა“ თავს, მოჰყვა ფრიად შესანიშნავი ფეხები დ. კალანდაძე. გასაკვირია, თუ სად შოულობს აღნიშნული რედაქცია ამ დარგის მწერლებს. რუსულათ ამგვარ ტიპებს „ископаемые“ ეწოდება. მათ პოულობს რომელიმე მეცნიერი ამა, თუ იმ ძველი ნანგრევების გადათხრის დროს. აქ კი საქმე უკუღმა ხდება: არა თუ რედაქცია ეძებს „ისკაპაემიე“ ბს, პირიქით თითონ „ისკაპაემიები“ პოულობენ საქართველოს რედაქციას და ამდიდრებენ თავისი იშვიათი ნაწარმოებებით.

როცა მეცნიერი, სადმე ნანგრევში, ან მიწის სიღრმეში ასეთი იშვიათი გადაშენებული ცხოველის ჯიშს პოულობს, ის განმარტებასაც აძლევს მას, რათა საზოგადოებამ გაიცნოს, თუ რომელ ფორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაცია ჭკუთვნის ახლად აღმოჩენილი ჯიში საკვირველებისა. პატივცემული რედაქცია „საქართველოსი“ ასე არ იქცევა და ამიტომ ჩვენ ვხდებით იძულებული მისი საკეთილი საქმე ეაკეთოთ. დავით კასრაძეზე არა ერთხელ და ორჯერ გვქონია მუსაიფი და „ეშმაკის მათრახის“ მკითხველები ჩინებულათ იცობენ ამ დარგის არსებებს. საჭიროა ახლა მცირე ხნით ახალ აღმოჩენილ კრეპოდენტ დ. კალანდაძეზე შევჩერდეთ.

დ. კალანდაძე, ეს „ისკაპაიმიების“ უკანასკნელი სტუყვა. თითეული წინადადება მისი კორესპოდენციისა (სოფ. ხიდისთავიდან. გურია) ნათელ ჰყოფს, რომ ეს სიძველე ერთობ საგრძნობი უნდა იყოს. ჯერ არა თუ გაზეთი, ფარნაოზ მეფეს მხედრული ანბანიც არა ჰქონია მოგონილი, როცა ქათველები ამგვარ სისულელეს სწერდენ. მეტსაც ვიტყვი, დ. კალანდაძის ნაწერი რომ ფარნაოზს წაეკითხა პირდაპირ სიცილით მოკვდებოდა. არა გჯერათ? აი მოისმინეთ, ხიდისთაველი ნაშთი სიძველისა დ. კალანდაძე სწერს:

„სხვა დროს სამაგალითო გურია სოფლის ნაძირალების ხმის ასაღებ. ვიდოთი თუნდა ისეთი სერიოზული საკითხი, როგორც სარწმუნოებაა, ამ ხაძირალებმა სოფლები გადარეულ. ღმერთზე და ხატზე ალებინებს ხელი. აი ამისი მაგალითიც: მარამბისთვეში აქურმა მეხოგრეებმა თავისი იები წლის შვილი, საშუალო სასწავლებლის მოწაფე, ისე დამარხა როგორც საჭიროდი, ვიმეორებ როგორც საჭიროდი მეთქი უმდიდრესთ, წესიც არ აუგიათ. გახა ამაზე ზორს წაგა ბალეგაცის დატემა?“

ზემოთ მოგახსენეთ, რომ თუ ეს ამონაწერი ფარნაოზ მეფეს წაეკითხა უთუოდ სიცილით მოკვდებოდა და რაკი მოკვდებოდა უმდიდლესთ მოუწევდა დამარხვა, ვინაიდან იმ დროს ჩვენი კურთხეული ხუცები პროექტშიაც არავის ჰყოლია. მაგრამ როცა ჩვენ ვკითხულობთ ამავე ამონაწერს სიბრალულს გრძნობა გვიპყრობს იმ კაცმაგვარისადმი, როგორიც იმდენათ ტუტუცი კორესპოდენტია, რომ საქონელსა და ადამიანს მხოლოდ მიდდლის თანადასწრებით, თუ წესის აგების საშუალებით არჩევს. აქედან აშკარაა, თუ რა ძველის-ძველ ცხოველთან გვაქვს საქმე.

ახალი „ისკაპაემი“ დ. კალანდაძე, როგორც ძველი ჩვენი ნაცნობი დ. კასრაძე სხვის თვალში ჰხედავენ ბეწვს, ხოლო თავისაში ძირეს ვერ ამჩნევენ. ორივე შემთხვევაში მათ ამგვარ მოქმედებას აქვს თავისი გასამართლებელი ხანდ[illegible]—ისინი სიძველის ნაშთს წარმოადგენენ [illegible] ამ ხანაში, რომელსაც აღნიშნული „ისკაპაემები“ ეკუთვნიან კაცობრიობა როგორ აზროვნებდა.

დღეს, მაგალითად, არც ერთი მწერალი არ იტყვის მიცვალებულზე „საქონელსავით დამარხეს“, რა წესითაც უნდა დაიკრძალოს იგი. დ. კალანდაძე ამას განგებ ორჯერ იმეორებს, თითქო ისეთი რამ ეთქვას, რომელიც მას საქონლისგან ანსხვავებდეს. ამას კი სწორეთ საქონელი იტყოდა ლაპარაკი რომ შესძლებოდა და ვწუხართ რომ დ. კალანდაძეს, როგორც გამონაკლისს მათში, საშუალება აქვს არა თუ ილაპარაკოს საქონლის სათქმელი, არამედ კი დეკაც სწერს ნაციონალ დემოკრატების გაზეთ.

ამის შემდეგ განა უნდა გაუკვირდეს ვისმე, თუ რისთვის გადაუდგა სოციალ დემოკრატის ხიდისთაველი გლეხობა და რატომ მიეკედლა ნაციონალ-დემოკრატებს? არა მგონია დ. კალანდაძის აღმოჩენის შემდეგ ასეთი გადაჯგუფება მოულოდნელი დარჩეს.

მადლობა ღმერთს! ერთი კანდიდატი მაინც ეყოლება აღნიშნულ პარტიას დამფუძნებელ კრებისა თვის.

ანდრეე კოლოტე.

შაკი გადება.

(ყანწური სტილით.)

ლხენით გალეშილ ჩემს წითელ გულს, ავიზვიზებგულს
ყრუ, ბრუტიანი შავი ბინდი გადაებურა;
და წითელ სიცილს, სიცილს ელვით აელვარებულს
ვერაგი ცრემლი ზედ დაეცა, გადაეკურა!

გულის კოფოზე წამოსკუპდა ფიქრთ ურდო ჯარი,
ალარ მმორდება მე ზ?ნარება შავი კატისა;
სული მდელვარებს ვით დრაკონი მხრებ დანაბარი..
აჰ, ცხეირს მიწუხებს მე სიმყრალე დამპალ ბატისა!

ვი?! ალ ფრინველი ვგრძნობ შავდება ვერ წითელ-
ყვერცხობს,
ყურს, ელანდება გლოვის ზარი და სულთითონა;
მანეთიანი ვერ შაურობს და ვეღარ ვერცხლობს.—
ჩემს სამოთხეში დაჩინდრიკობს უცრხვი სატანა!..

ეჰ, გაქრეს ბარემ ეგ ცხოვრება სულ-ქატიანი,
ჩაქრეს პატრუქი საბედშავო კეკლეტარისა.
ძულვით შემძულდა მე ეგ პური შავ-ლუკმიანი
არ მსურს რომ გაეხდე დასაკინი ჯოჯო-ქვდარისა!..

პოდბიპენგა.

ეროვნული

გათენდა?

(სიდნადელ მომდერალ ბადნის ახალი მუსამაზი)

არა, არა, ჯერ არ გათენებულა..,.
ველისციხეს სძინავს, არ გაღვიძებულა!
მაინ განთიადის ცისკარი აუ ამოსულა
და **შეგნების** ცისარტყელა გაჰპარვიათ, წასულა!.,

—

ეჰ სოფელო, შენ სოფელო და ისევ სოფელო;
არავისთვის კარგისთვის არ მყოფელო!
როდემდისინ, უნდა ეგდო ტანაშე,
დიდ-პატარას ჰბერვიდე შენს ტალახშინ?!

—

ველისციხევ, საღათას ძილის აფთექარო,
ფუქსავატო და სახალინის ქარო!
ამა, ერთხელ, მოიფშვნიტე თვალები
დაინახე-როგორ გჩაგრავენ ბატონო-კაცუნები...

—

ეჰ სოფელო, შენ სოფელო და ისევ სოფელო,
დღე და ღამე უმეცრებაში მყოფელო!
სულს გართმევენ, ტყვეს გაძრობენ არ გესმის
ვის ემდური შენი ტანჯვა ვის ესმის?

—

ნამდვილ, შენსთვის ჯერ არ გათენებულა
დასაჭირო ცის კარი არ გაღებულა!
მაშ რიღასთვის იწოდები ველისციხეთ,
სულის მამანი არ ვნათლენ „ქაჯთა ციხეთ“?

—

იღონდაც, რომ ღირსი შეიქნებოდი
თუ სულიკო, „ქაჯთა ციხედთ მართლაც გარდ-
ქნებოდი“!..,

ძღარბი

ნერილი ახალგაზრდა მასწავლებელს!

ძვირფასო და ყოველ წამში წადმა-უკუღმა სახსენებელო, ძმო ცეცე! უწინარეს ყოვლისა ღმერთსა ვსთხოვ კარგად წიეყვანოს შენი თავი და შენი საქმე. ახლა. იმედია, გგახსენდება ცხონებული სოლომონ ზურგიელიძის სიტყვები: „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ტალახს და ნურც შოსესაო **და მეც** მომიგონებ, ღმერთმა მოგიგონოს, ქე ვარ ისთე ალიქორთულათ: არც ოვლაკონეფეა ვარ, არც რევოლიუციონერი; არც პროვოკატორი ვარ, არც აგიტატორი. სტრატეგიული მოსაზრებით ვიცავ ნეიტრალიტეტს, თუმცა გულით ძალიანი რევოლიუციონერი ვარო.

სხვა რა ქენი ძმაო ცეცე! შესდგი თუ არა ფეხი პედაგოგიურ ასპარეზზე და, თუ შესდგი, როგორი ყოფილა სახალხო მასწავლებლობა. გახსოვს ჩვენ ჯერ კიდევ სემინარიის კედლებში ფიცსა ვსდებდით, რომ ხალხის გულისათვის თავი დავდოთო. ახლა რა ქენი, ძმაო, ხომ არ უდალატე პრინციპს? შენი არ ვიცი, ძმაო და მე კი, რუსები რომ იტყვიენ, „რაზონარაოვანიე“ მივიღე ზიარების მადლმა. მე როგორც გეკითხე, შენთვის კი ბაჩალი სოფლის მასწავლებლობა უბოძებიან. მასწავლებელი, თუ მაწვალებელი? აი კითხვა რომელიც შებადება მე. ბიპო, რამდენი ვთხუე ძველი რეჟიმის ინსპეკტორს და ახალი რეჟიმის კომიტეტს ადგილი მომეცით მეთქინ, მარა ყველამ ციკი ვარი მტკუცა. აქედან აშკარაა, რომ „კომისარი“ ფსევდონიმია „ინსპეკტორისა“. ჯერ სიკვდილი, მერე მასწავლებლობაო—ასე ბრძანა ბ-მა კომისარმა. არა, ძმაო ცეცე! არ მოგატყუოს ვინმემ, სოფლის მასწავლებელიზა არ გათენებულა და არც გათენდება. მერე კაკო იგი მამა ცხონებულები იმას ვეღარ ატყობენ რომ მე პოზიციაზე არ გამოვდგები? აქანე იმ პედაგოგაკუნებს მაინც კი ვაჯობებდი ახლა რომ პედაგოგშობენ. ხომ გახსოვს, ძმაო ცეცე, ერთხელ რა რიხიანათ მიეეცი სანიმუშო გაკვეთილი ბუნების მეტყველებიდან: **песчинки ударяются о горы, горы разрушаются**“-მეთქინ და აბა კლასში იმ ფერი დისციპლინაკ კი მჭონდა, რომე ჩემ გაკვეთილზე ბაღნები კრინტს ვერ დასძრავდენ. ხო და ამისანა კაცი ქე უნდა წაართვან სოფელს. აფსუს მერაბა!

აწი, ძმაო ცეცე, მე ჩემს სპეციალობაში ვეღარ გამოვდგები რაც რომ ვარი მითხრეს, ავდექი და ფზეკა გავაყენე თფილის ქალაქში. ხან კომიტეტის სეკრეტარი ვიყავი და ხან კიდო სეკრეტარის კომიტეტი: ახლა თფილისის „ფაბრიჩნი ინსპეკტორათ“ მასახელებენ, მარა ჩემს ადგილს უეიმობ სტრატეგიული მოსაზრებით. აქაური თამბაქოს ქარხნები სულ მე მაბარია და თუ გინდა ზეპირათ გეტყვი რამდენი მუშაა: „ბოზარჯიანცის“, „ენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინჯიანცის“, „საფაროვის“, „სეილანოვის“, „კოტეტის“ და „მირის“ ფაბრიკაზე, რამდენი ქალია იქ ქმრიანი და უქმრო, მოხუცი თუ ახალგაზრდა, რამდენი გამხდარა მათში უბრალოიანიშის თუ „ზავედივ.“ მსხვერპლი, ლამაზი ქალები ისე დამტრიალებენ თავზე, როგორც ქორი წიწილას. მარა შენ კარგად იცი მე ერთი პატარე კერპი მყავს და ის სულყვავლას მირჩევნია. ახლა ამბ. ცეცე ბოროტი ენები ამბობენ, ვითომ შენ კარგი ქალი გითხოვია და თან შეძლებული(?) განა მე არ ვიცი შენ, რომ მარუსიე გიყვარდა და სულ იმას ეკურკუმალავებოდი? ხშირათ გითქვამს ამხანაგებში, ისე კი მიყვარს, რომ იმის გულიზა იმაშიც გადავარდებიო. მარა, არა ძმაო ცეცე, ახ ლა დავრწმუნდი, რომ სიყვარული არ არსებობს ამ ქვეყნიურათ. იგი ბოლოდ შაბათ-კვირემდია. მარა მე მაინც მიყვარს ჩემი თამრო და არც უდალატებ იმას ჯერე. თითონ იმას ისე უყვარვარ, ისე, რომ მეტის მეტი სიყვარულით წერილსაც კი არ მწერს. რომ მნახავს, მაშინვე მეტყვის: ვეღარ გუუძელი ამ შენს სიყვარულს და მოდი ერთი ჯვარიც დევიწერეთო. მეც, რა თქმა უნდა, პრინციპიალურათ ამის წინააღმდეგი არ ვარ, მარა ჯერ ვისწავლოთ: შენ გიმნაზია გათავე, მე კიდეე უნივერსიტეტს გავთავებ და მერე თავი ქუდში გვექნება მეთქი. არ შეგეჯიბოს ოხამ, რათ მინდა შენი უნივერსიტეტი; ახლა თუ არ დევიწერეთ ჯვარი, მერე ან შენ დაგავიწყდები და ან მე შემომჩეევა ვინმე ბულბულიო. ხო და ასე ესმის ჩემ პატარა კერპს სიყვარული. თუ დღესვე არ დამაჩაირე, მერე გაგეკცევიო. მე სულ მადამ ვეუბნები: შენ ჩემი ხარ, მე შენი, გაგიშვია ქენჩერი. ახლა, როგორც ვატყობ ჩემს თამროს, ჩემი გაპრაპორშჩიკება უნდა და მოდი ერთი მეც აუსრულო გულის წადილი. ერთს ჩავქმარანჯალ ლეკურ-ლეკროვიანდები და ბრეგას გავადენ ჩემს თამროსთან, მოდი, ძმაო ცეცე, და ერთი შენც გაპრაპორშჩიკდი, თუ გინდა, რომ შენმა ქვანქვალიამ სულში ჩაგიფრინოს, რევოლიუციაც დაიცვა და სამშობლოც იხსნა განსაცდელისაგან.

მარადის შენი გულითადი მეგობარი, ამხანაგი და
მოქალაქე „გურული ბიჭი“.

რას ამბობენ?

(ქ. დუშეთი.)

ამბობენ: დუშეთში
რა არა ხთებაო.
ცხოვრება ხან წინ და
ხან უკან დგებაო.
პარტიას ფარსებს
ყველა, ვინც გინდაო,
ბრძოლა და კამათი
გუზგუზებს წმინდაო.
მქუხარე სიტყვებით
კედლები კრთებაო.
საქმეს კი, ვერ ვხედავთ
და გული კვდებაო,
ამბობენ: დუშეთში
მღვდლებია ბევრიო.
ზოგსა აქვს მოკლე და
ზოგს გრძელი წვერიო,
ხალხში მათ ვერ ნახავთ,
ხაღდარში სძინავთო.
დღესაც იმ ნაირად,
როგორაც წინათო.
უცდიან მშიერნი,
ნადავლსა საქებსო
ღვინოს და გოკის მკერდს.
ინდოურ—ქათმებსო.
ამბობენ: დუშეთი,
ცოდვებში დნებაო,
ქალწული იუნკერს
არ ეკარებაო.

ჭაგნელი ბზიკი.

გამოცანა.

(ძდგ მ. ნ—ძეს.)

ღვთის კაცია, გულ კეთილი,
მიხაილთან წოდებული,
ჯიბე იმზომ უძირო აქვს,
ვერ აავსებს ქვეყნის გული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშვილოს და ტანთ მორგვსა,
ლიბი დასდევს გაბერილი....
(იმ სამშობლოს რაღა უპირს
სადაც მრავლობს მისებრ შვილი!)
ქვრივ—ობლები და მუშები
ჭირზედაც უფრო სძულსაო;
ღვთის კაცი არის, რას ერჩით
ემსახურება რჯულსაო!..

სოციალ—დემოკრატიასაც
მაგრამ ვაი თქვენს მტერსაო!..
(ერთ წელს რომ ელაპარაკო
ქართულს არ გეტყვის ღერსაო..)
მოსწონს „კეთილი მაზები“,
ქართველ ბურჟუთ—კლასიო.
მაგრამ სძულს გასაგონარად
მხოლოდ შესამე დასიო.

ი. ქოროშასპირელი.

წერილი თვალთახედვისა

ვაჭარი, როგორც წარმოდგენილი ჰყავს საზოგადოების უმრავლესობას.



იგივე ვაჭარი, თუ მის სიტყვებს დავუჯერებთ.

რედაქტორი ეშმაკი, სტამბა ვ. რუსაძისა, გამავლის № 1